სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო
LEPL STATE AGENCY OF OIL AND GAS

ზ.გამსახურდიას სანაპირო N1, 0114
თბილისი, საქართველო
1 Z.Gamsakhurdia Named Right Bank, 0114 Tbilisi, Georgia;
+995 032 225 33 02/99

233-04-2-202508261612

N 04-233
26/08/2025

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ დიმიტრი ზურაბიშვილს

ბატონო დიმიტრი,

გაცნობებთ, რომ ნავთობის და გაზის XI-Q სალიცენზიო ბლოკზე (ტერიტორიულად მოიცავს თბილისის, გარდაბნის, თეთრიწყაროს, წალკის, თიანეთის, მცხეთისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებს) სახელმწიფოსთან გაფორმებული პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებისა და ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის საფუძველზე ნავთობის და გაზის ოპერაციებს ახორციელებს „Georgia Oil & Gas Limited-ის ფილიალი საქართველოში“, რომლის დაკვეთით კონსულტანტი კომპანია შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრი - ეკომეტრი“ ამზადებს ზემოაღნიშნული სალიცენზიო ბლოკის მომცველი ტერიტორიის „გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს“ (გზშ), რომელიც შეიცავს ნავთობისა და გაზის ოპერაციების შედეგად გარემოზე პოტენციური ზემოქმედების ანალიზს.

გიგზავნით „Georgia Oil & Gas Limited-ის ფილიალი საქართველოში“-ს მიერ წარმოდგენილ XI-Q სახელშეკრულებო ფართობთან დაკავშირებული პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გზშ-ის ანგარიშსა და განცხადებას, რომელიც საზოგადოების ინფორმირების მიზნით უნდა განთავსდეს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (მოთხოვნის შემთხვევაში - უზრუნველყოფილი იქნას მათი ნაბეჭდი ეგზემპლარების ან ელექტრონული ვერსიების ხელმისაწვდომობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით).

გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა ჩატარდება 2025 წლის 8 ოქტომბერს 14 საათზე გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში. გთხოვთ, უზრუნველყოთ მცხეთის მუნიციპალიტეტში აღნიშნული საკითხით დაინტერესებული საზოგადოების დასწრება საჯარო განხილვაზე.

პატივისცემით,

გიორგი ტატიშვილი

სააგენტოს უფროსი